„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. გგეტაძე
„29“ 08 2024 წ.

საქართველოს ჩემპიონატი U2100 და U1700 რეიტინგ კატეგორიებში

20 - 27 სექტემბერი, 2024 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **ორგანიზატორი:**
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. **ღონისძიების მართვა:**
   განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.
3. **ჩატარების ვადები და ადგილი:**
   20.09-27.09. 2024 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას ქ. 29.
4. **ტურნირები და მონაწილენი:**

4.1. U2100 ღია ტურნირში დაიშვებიან მოჭადრაკეები ფიდეს სტანდარტული რეიტინგით 2100 და ნაკლები.

4.2. U1700 ღია ტურნირში დაიშვებიან მოჭადრაკეები ფიდეს სტანდარტული რეიტინგით 1700 და ნაკლები.

4.4. ორივე ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვთ ასევე ურეიტინგო მოჭადრაკეებს.

4.5. ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

5. **სისტემა და კვალიფიკაცია:**
   - ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად.
   - გარკვეულ შემთხვევებში, ტურნირის ორგანიზატორს უფლება აქვს შეცვალოს ტურნირის ჩატარების სისტემა და განრიგი..
   - ტურნირში დაითვლება ფიდეს რეიტინგი.
6. **დროის კონტროლი:**
   ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 60 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.
7. **რეგისტრაცია და სატურნირო შესატანი:**

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/wqfhiZKRKdN7w9WZ6 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის (დაბადების) მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჩემპიონატის საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 18 სექტემბერი 18:00 სათი.
   ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

7.2. თითოეული მონაწილის სატურნირო საწევრო შესატანია 30 ლარი.
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:
   სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE34BG0000000129766701**.

7.3. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან სატურნირო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (18 სექტემბრის 18.00 საათამდე)
   წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.4. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში სატურნირო შესატანია 60 ლარი (უნაღდო ანგარიშსწორებით).

7.5. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

8. **თაი – ბრეიქი:**

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობით;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. **ტურნირის განრიგი:**

ტური	რიცხვი	საათი
ჩამოსვლის დღე	20 სექტემბერი	
I ტურის კენჭისყრა	21 სექტემბერი	12:00
გახსნა		14:45
I ტური		15:00
II ტური	22 სექტემბერი	15:00
III ტური	23 სექტემბერი	11:00
IV ტური		15:00
V ტური	24 სექტემბერი	15:00
VI ტური	25 სექტემბერი	11:00
VII ტური		15:00
VIII ტური	26 სექტემბერი	15:00
IX ტური	27 სექტემბერი	15:00
დახურვა	27 სექტემბერი	18:00

10. **პრიზები: საპრიზო ფონდია - 3 500 ლარი.**

ადგ	U2100	U1700
1	700	700
2	500	500
3	300	300
4	150	150
5	100	100

- თანაბარი ქულების შემთხვევაში პრიზები არ გაიყოფა.
- ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.

11. **გამარჯვებულები:**

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები მოიპოვებენ საქართველოს ჩემპიონის ტიტულს შესაბამის რეიტინგ კატეგორიაში და დაჯილდოვდებიან თასებით.
- I–III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით.

12. **საერთო წესები:**

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

13. **სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:**

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა.

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი.